

ნახ. ვ. ლომოვსკი



— მოწინააღმდეგეს ყველა კომპინაცია ჩავე-
 უალე! პარტიას მოსაგებ კოზიტიაში ვიტოვებ და,
 აბა შენ იცი, როგორ გააბრძელებ!

№ 24 (1418) დეკემბერი 1973

სიყვითლე

გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კპ.

**საქონლის
ბაზის
მოსასინჯთან**

დაპქარ ისე,
— წამოფრინდეს
მიჯნა, ციფრი
სახვალიო!
სიამაყით
ეთქვათ უენზე:
ძველს ჯობია
ახალიო!
დაპქარ ისე,
რომ ხუთწლედის
ზღვარს უსწორდეს
ნათლის სვეტი!..
მაშ, გვაჩვენე,
ვაჟკაცური
დარტყმა, დარტყმა
გადამწყვეტი!



ნახ. გ. ფიჭვანკალაშვილი

— წელს თოვლის ბაგუშების შოვნა აღარ გავპიჭირდება!

1975

1974

1973

1972

1971



თუკუნი
ჩაუქოპა
სახეზ-
ქ
იპს
ჩი
სიყბაიქს
L
ნათი

ამ წუთისთვის ვერაფერი ვერ გამოვიდა;
დიდი სასახლე მეც ავაგე, როგორც რიგია...
და, ამის გამო, დამიჭირეს, მკლავი არ მომჭრეს,
მაგრამ ეს მკითხეს: „ასე კარგი რით ავიგია?!“

მეხინკლევ, ლუდის გამყიდველიც, — უკლებლივ ყველა
იძენს მანქანას, — ზოგი ჩქარა და ზოგიც ნელა,
საიდან? კათხას რომ გაწვდიან ნახევრად ავისილს,
და კიდევ... თუმცა ყველაფერს ხომ ვერ იტყვის ენა?

იმ სასახლეში, სადაც მირონს ეჭირა ჯამი
და თავს ირთობდა შვლის და ირმის მწვადების ჭამით,
ო, იმ ადგილზე, სანადირო რომ ჰქონდა მირონს,
დღეს მიხო დადის! ხედავთ, როგორ იცვალა ჯამი?

ანზორ ჯალიაშვილი

ევესე

● სიმართლეს ჰკითხეს — რა
გაგიკეთა ძველმა წელმაო და —
წელი გამიმაგრაო.

● კომბინატორს ჰკითხეს —
ძველმა წელმა რა მოგცაო და —
10 წელიო.

● ახალ წელს ჰკითხეს რას
უსურვებდი თბილისის „დინამო-
სო“ და — მეზობლებთან ერთად
ჩემპიონების სადღევრძელო „თა-
სით“ აეწიოთო.


ბ. გიგლაძე

— თქვენ ხელები დაუჭირეთ, თქვენ — ფეხები! აი, ასე. ახლა თავი გადაუწიეთ უკან!

— ხალხნო, მე თუ არ გებრალე-ბით, ჩემი წვრილშვილი მაინც შე-იბრალებთ! ეს ერთხელ მაპატიეთ, ღმერთი არა გწამთ!??

— არიქა, გაგვექცა! — იბღავლა ბრბომ და გაქცეულს გამოუდგა. იმ დროს მიუსწრეს, ღობეში რომ აპი-რებდა გაძვრომას, ხელი სტაცეს და სახლში ცივ-ცივად შემოიტანეს.

— სკამზე დადეთ და დააბით ეგ



ურჩი, ეგა! — ბრძანა ყველაზე ზორ-ბა ტანისამ და მუშტით მაგიდა შეა-ზანზარა.

— ხელი არ მასლოთ, მე თვი-თონ! — ამოიგმინა განწირულმა.

— ეგრე არ ჯობია, შე კაი კაცი?

— აბა, ლაპარაკი! — ისევე იღრი-ალა ზორბამ, — დაგვიანებულს ერ-თი ყანწი, „გაზა“ და „ლამფის შუ-შა“ მიაწოდეთ, მაგის მოსვლამდე შესმული ფაქიზი გრძნობების, წმინ-და სიყვარულის, კაცთმოყვარეობისა და ურთიერთგაგების სადღევრძელო დალიოს!



სიყრიდანვე

- შეჰპარვია სიბერე!
- რაში ატყობ?
- გამელოტებულა.
- მაგაზე ბავშვობაშიც ამბობდნენ, ბრწყინვალე თავი აქვსო.

ნოდარ უამანაძე



ნ. ბ. ბერიძის მიხედვით

— სადაა დაპირებული საბავშვო ბაზა-გაღები, საორტუ-ლი მოედნები, ბიბლიოთეკები, საბავშვო ფეხსაცმელი?..



კეთილი გურგენიძე

ბუჩქის ქარხნის

მადლობელი ვარ გასულ წლის, მართლაც ხუმრობაგაშვებით! შენ გლოცავს ჩემი ოჯახი, ჩემი ცოლი და ბავშვები! შენ მომანიჭე სიმაღლე, გულის სითბო და ალერსი, (მარტო „ნიანგში“, ცხრა თვეში, გამოვაქვეყნე ცხრა ლექსი!) ყველა სიკეთის ჩამოთვლას ჟურნალიც კი არ ეყოფა, ზოგ სიკეთეს კი: რატომღაც, სიამოვნებას! შენ ამხდინე ოცნება, ზეცამდი ერთი მეც ავხტი და გლდანის დასასლებაში ახალმოსახლე მეც გავხდი. პირველ სართულზე მივიღე ბინა, სამოთახიანი, — უკარფანჯრო და უგაზო, უპარკეტო და მტვრიანი. ზოგან ონკანი არ იდგა, სადაც კი იდგა — მოშლილი, რამაც მომშალა ჯერ მე და მერე კი — ჩემი ცოლ-შვილი. სანტექნიკოსებს მივვარდი... სიცლით მოკვდნენ კინაღამ, იგუდებოდნენ: „გვითხარი, ასე ხუმარა ვინა ხარ?“ სახლმმართველთანაც ვირბინე (სახელად ერქვა კლიმენტი), გადამიწურა წყალი და იმ წყალთან ერთად — იმედი. ხუთი თვე გაზზე ვირბინე... რომ ვერაფერი გავიგე, ოთხმოცი კილო ვიყავი, ოცდათხუთმეტი დავიკედი!.. თვეობით ვეზიდებოდი წყალს ქალაქიდან, სოფლიდან, (ორ-ორი ვედრო მარტოკა სასმელ-საჭმელად გვყოფნიდა). ზამთარში რადიატორებს ღმერთმა შეჭყარა ციება, გაზაფხულამდე სულ ფუტად გაგრძელდა სითბოს ძიება... მეცხრე სართულზე გავცვალე (თუმცა მიჭირდა დათმობა!)

გიფიქრე, მაღალ სართულზე მაინც იქნება გათბობა. გათბობა მქონდა, იცოცხლე! მაგრამ ჭერიდან მაწვიმდა, მერე პარკეტზე მოთოვა და ოთახებიც გაცივდა-გაგიგონია, ივნისში კაცი ტალახში დარბოდეს? ტალახს რა უჭირს, როგორმე სამკურნალოდ რომ ვარგოდეს. გზებს გვაპირდებიან საოცარს! ჯერ კი გზებია, რა გზები: დაბადების დღეს წყველიან ავტობუსები, ტაქსები... ყოველდღე ტალახიანი სამ საათს მივიჩქაროდი, მესუმრებოდნენ ბიჭები: „ქალაქში როდის ჩამოდი?“ რაც შეეხება ჩემს ბინას, გამძლე შიფერით დავხურე და რადიატორს ზამთარში კვლავ ნავთქურებით ვახურებ. ვაკეთე: ზოგი — ვალეებით, ზოგი — საკუთარ გარჯითა, ახალ სახლს ავიშენებდი, რაც რემონტისთვის დამჭირდა. ახლო წელო, ნათელო, ახლო მიზან-იმედო, სხვებმა სხვა გთხოვოს, მე მინდა, ერთი რამ გამოიმეტო! — მარტოდენ ჩემთვის არა გთხოვ. მე სხვების ცოდვაც მაწუხებს! მიეცი გაზიც და შუქიც! წყალი — ცივიც და თბილიცა, მიეცი გზაც და ტრანსპორტიც! იხაროს დედათბილისმა! კარგია რადიატორიც, ოღონდ ზამთარში ათბობდეს, კაცს ისეთ ბინას ნუ მისცემ, — უბინაობას ნატრობდეს!.. P. S. ძველმა იცის და, ახლო, არ შემოხვიდე გლდანთან, თუკი ტალახში დასვრა და სირცხვილის ჭამა არ გინდა!





ნ.ბ. ვიტცხალავაშვილი

ახალი წელი მა, პა, კარების შეგლეჯვას აპირებდა წარსულის ოჯახში. ცოლ-ქმარი ნელთბილ რადიატორს ეფიცებოდნენ.

— გახსოვს, ვარა, შარშან ამ დროს, იმ საწყობის გამგემ რომ მოგვილოცა და ის რომ მოიტანა?..

— მახსოვს, აბა, არ მახსოვს? რეაქსიანეთიანი სპარსული ბეჭედი...

დუმილი.
— გახსოვს, პეტეო, შარშან ამ დროს, შენმა მთავარმა ბულატერმა ექვსასმანეთიანი „სიეო“ მოგიტანა?

— მახსოვს, აბა, არ მახსოვს? ჩემმა ექსპედიტორმა რომ ოთხასმანეთიანი ქურქი მოგართვა, გახსოვს?

— მახსოვს, აბა, არ მახსოვს? მერე შენ სანადლეოზე წითელ ხილზე რომ დაწვი.

— გახსოვს, ვარა, შარშან ამ დროს, ჩემმა ტექნოლოგმა ორიათასმანეთიანი ლარნაკი რომ მოგიტანა, შენ კარებშივე გაგიტყდა, იმან გულისტკენაც არ გვაცალა და სხვა, უფრო ძვირფასი ლარნაკი მთარბენინა იმ ლამესვე?

— მახსოვს, აბა, არ მახსოვს? გახსოვს, პეტეო, შენმა მოადგილემ, შარშან ამ დროს, ათასმანეთიანი, მანქანაზე მისაბმელი გერმანული სახლი რომ მოგვართვა?

— მახსოვს, აბა არ მახსოვს? სადაა ახლა ის მისაბმელი სახლი?

— არ გახსოვს, ჩვენმა ნიუშამ, კისლაეოდესკო-დილიხორზე კლდიდან რომ დააგორა?

— მახსოვს, აბა, არ მახსოვს?

— გახსოვს, პეტეო, ახალ წელს, გამთენია, შენი თანამშრომლებით, კიეოში რომ ავედიტ ხაშუხე, ყველა რომ იძახდა „რა ხელმა ააგო, რა ნიჭმა ააგო“!

— მახსოვს, შე ქალო, აბა, არ მახსოვს?!.. რა ძველი ამბავი ეგ არის!

„გახსოვს“ — „აბა, არ მახსოვს“... დიდხანს ისმოდა იმ ლამეს. ახალი წელი ქრთამისა და ძღვენის გარეშე შელიოდა წარსულის ოჯახში.

ავთანდილ ადვიშვილი



სახსოვს-
ხსოვს
სუოვი
წეხი



სენსიური სიახლენი

სიცოცხლის განანგრძლივების ინსტიტუტის ლაბორატორიაში, მეცნიერული დაკვირვებების მიზნით, მოათავსეს უნიკალური ხანდაზმულობის ძამაკი, რომელსაც ეს-ესაა შეუსრულდა 263 წელი. კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რომელ წელსა იგი დაბადებული, ხანდაზმულმა უპასუხა, რომ თვითონ იგი დაბადებულია 1910 წელს, მაგრამ, პასპორტის გაცემის დროს, ცხრიანის ნაცვლად შვიდიანი ჩაწერესო.

მართ-მართი კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, გამოეყვანათ ახალი ჯიშის ქათამი. ამ მიზნით, ცილისაგან განაცალკევეს ინდაურისა და ქათმის კვერცხისგულეები, შემდეგ ისინი მოათავსეს სტერილიზებული მინის ჭურჭელში, რომელსაც დაუმატეს 0,75 გრ. შაქრის ფხვნილი და სპეციალური კოვზით ხანგრძლივად აწარმოეს მისი გათქვეფა.

ექსპერიმენტმა წარმატებით ჩაიარა, მიღებულ იქნა შესანიშნავი გოგლი-მოგლი.

ურახები

- მამა თავის ქალიშვილს დედაშვილურად არიგებდა.
- უპილოზა ადამიანის დაუძინებელი მტერია.
- ზას ისე ხშირად უკვდებოდა ქმრები, რომ ბოლოს და ბოლოს, პროფესიონალ ქვრივად იქცა.

ალ. ალ. გელიძე

ნაკვეთები

- ვინაც თავზე ნამუსის ქული ხურავს, იმას ცა აღარ მიაჩნია ქუდად.
- გამყიდველმა საკონტროლო სასწორს უსაყვედურა: აი, შე მართლა გამყიდველო!
- ზოგიერთ მალაზიაში წარწერა — „იყიდება საქონელი ფასდაკლებით“ — იმას გვაუწყებს, რომ იყიდება საქონელი თავის ფასში.
- ერთგან ტროლეიბუსი ორმოში ისე ჩავარდა, რომ მე ორი ნომრით დიდი ფეხსაცმლიდან (ჩემი ზომის ვერ ემოვე. ს. ბ.) ამოვვარდი.

სიმონ ზალახაძე

მინიატურები

- ბატონო პროფესორო, არ გეცოდებით ამ საახალწლოდ მესამეჯერ რომ მჭრით?
- მე რატომ არ გეცოდებით, ამდენ სისულელეს რომ მასმენინებთ?!
- დამიწერეთ, ბატონო, ერთი სამიანი და ორივეს გვეყოფა, მოვისვენებთ!

* * *

- მოდი, ვნახოთ ეს კინო...
- იქნებ, არაფრად არ ვარგა და ლექციასაც ტყუილა გავაცდენთ.
- როგორ დავიჯერო, როგორც არ უნდა იყოს, ლექციას მაინც არ აჯობოს!

ბ. ხონელი



— შეჩერდი! რა მიგაქვს რესპუბლიკის ბაჟი?
— მიგაქვს საახალწლო საჩუქრები: მანდარინი, ფორთოხალი, ვაშლი, მსხალი...
— შენ, რაღაც, თოვლის ბაბუსს არ გავხარ!..

73-890

აპრილისტურ ქვეყნებში ფასები საკვებ პრო-
დუქტებსა და პირველი მოხმარების სხვა საგნებზე
შეუჩერებლად იწევს მაღლა.

გაზეთებიდან



ნ. ბ. ლომიძისა

ეს სახალწლო „საჩუქარი“ ისე მარჯვად დაჯიშა, რომ ხალხი
ვირ მიხვდეს!